პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 200 (5230)

1974 წ. 9 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ტურიზმის ახალი კერები

კიდევ ორმა სრულწლიურად მომუშავე ტურისტულმა ბაზამ გაუღო კარი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს. 55 ტურისტი განაწილდება ცისფერი ტბების ნაპირებზე და ცხელ გოგირდოვან წყაროებთან აგებულ ხუთსართულიან კორპუსებში. მათს განკარგულებაშია კინოთეატრები, მეთოდური კაბინეტები, სპორტული მოედნები, კაფეები.

ყაბარდო-ბალყარეთში ყოველწლიურად თითქმის მილიონ-ნახევარი ტურისტი ისვენებს. დღის წესრიგშია ახალი ტურბაზებისა და კემპინგების, მათ შორის თექვსმეტსართულიანი სასტუმროს მშენებლობა.

ნალჩიკი.

## წარმატებას გილოცავთ!



## რუსთავის „მეტალურგი“ — საკავშირო თასის მფლობელი





## საბჭოთა დედაქალაქი ღირსეული პრეტენდენტია

ჟენევა, 7 ოქტომბერი. (საკდესი). მოსკოვი ღირსეული პრეტენდენტია 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარებისა, — ასე მიაჩნიათ საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს, რომლებსაც შტაბ-ბინები შვეიცარიაში აქვთ.

— ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პოზიცია მოსკოვის კანდიდატურის მიმართ უცვლელი რჩება,— განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა ჰ. კაიზერმა. — ფიფა ოფიციალურად მხარს უჭერს საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქს. მოსკოვს აქვს აუცილებელი სპორტული ბაზა ოლიმპიადის ჩარჩოებში ფეხბურთელთა შეჯიბრებების ჩატარებისთვის.

სასროლო სპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტის კ. ჰასლერის აზრით, მოსკოვში ყველა პირობა არსებობს სპორტის ამ სახეობაში ასპარეზობის ჩინებულად ორგანიზაციისთვის. „მოსკოველებს, — თქვა პრეზიდენტმა, — მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებათა ჩატარების სოლიდური გამოცდილება აქვთ. ქალაქმაც და მისმა მცხოვრებლებმაც უაღრესად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. მე შესაძლებლობა მქონდა მენახა სასროლო სტენდები, რომლებიც ძალიან მომეწონა“.

— თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მოსკოვის კანდიდატურას დაამტკიცებს, მოსკოველებს კიდევ საკმარისი დრო დარჩებათ საიმისოდ, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის სათანადოდ მოემზადონ. კერძოდ, ეს ეხება სასტუმროებსა და კავშირგაბმულობის საშუალებებს, — დაასკვნა ჰასლერმა.

— ჩვენთვის, — აღნიშნა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მ. ბანგერტერმა, — მოსკოვი ერთ-ერთი ყველაზე მოსაწონი კანდიდატურაა. მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ოსტატობა, რაც ამ ქვეყნის სპორტის კარგ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე მეტყველებს. პირადად მე, — ხაზგასმით აღნიშნა ბანგერტერმა, — მხარს ვუჭერ მოსკოვის კანდიდატურას და იმედი მაქვს, რომ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქს ვეწვევი 1980 წლის ოლიმპიური თამაშების დღეებში.

## მოსკოვის ოლიმპიური საზრუნავი

ოქტომბრის მიწურულს ვენაში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია, რომელმაც სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გვერდით უნდა განიხილოს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქების შერჩევის საკითხი. კანდიდატი ორია: მოსკოვი და ლოს-ანჯელესი.

უკვე კარგა ხანია, რაც გრძელდება დავა „ოლიმპიადა-80“-ის მასპინძლობის მსურველთა შორის. ამ დავას წმინდა ფორმალური ხასიათი აქვს და არაფერს ნიშნავს მანამ, სანამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები არ შეუდგებიან კენჭისყრის პროცედურას. მაგრამ არსებობს, ასე ვთქვათ, ოლიმპიური ლოგიკა, ერთგვარი მორალური საფუძვლები, რაც გაანაწილებს უფლებამოსილ დელეგატთა ხმებს მოსკოვსა და ლოს-ანჯელესს შორის. წინასწარი ვარაუდით, ეს ლოგიკა სსრ კავშირის დედაქალაქის მხარესაა და აი, რატომ:

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა ოლიმპიურ იდეას იმთავითვე საფუძვლად დაუდო ეროვნებათა და რასობრივი ჯგუფების თანასწორუფლებიანობა, შეუპოვარი, უანგარო, კეთილშობილური და მშვიდობიანი სპორტული ბრძოლა. მაგრამ არსებობს იმავე თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული ტრადიცია, რომელიც გამორიცხავს ოლიმპიადების ჩატარებას ზედიზედ ორჯერ ერთ კონტინენტზე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი მოსკოვის კანდიდატურის წინააღმდეგ, როცა 1976 წლის ოლიმპიადის ბედი წყდებოდა. XX ოლიმპიადის მასპინძლად უკვე დამტკიცებული იყო მიუნჰენი, და მაშასადამე, XXI თამაშების ადგილის გადაწყვეტისას ევროპას სხვა კონტინენტი ამჯობინეს. საკითხი მონრეალის სასარგებლოდ გადაწყდა და მოსკოვმა ოთხი წლით გადადო გეგმები. ახლა იმავე ლოგიკის ძალით ჯერი ევროპაზე მიდგა, მით უმეტეს, რომ ლოს-ანჯელესი ერთხელ უკვე იყო ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი.

მაგრამ მოსკოვის კანდიდატურას ზურგს სხვა არგუმენტებიც უმაგრებს. განა ვინმესთვის საიდუმლოა, რომ სსრ კავშირი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სპორტული სახელმწიფოა? ან სად, რომელ ქვეყანაში შეიძლება დავთვალოთ 50 მილიონი სპორტსმენი? რომელი ქვეყნის მთავრობა იმეტებს ასეთ გრანდიოზულ სახსრებს ხალხის ფიზიკური ჯანმრთელობისთვის? სად ტარდება ისეთი მასშტაბური შეჯიბრებები, როგორიც საბჭოთა კავშირში? ან რომელ ქვეყანას ჰყავს ბოლო 20 წლის მანძილზე 523 ოლიმპიური ჩემპიონი, 400-მდე ვერცხლისა და 300-ზე მეტი ბრინჯაოს პრიზიორი?

ძნელია ყურად არ იღო ოლიმპიური ლოგიკის ასეთი მძლავრი არგუმენტები. მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ყოველივე ამის გარდა, სჭირდება გარანტიები იმისა, რომ არ დაირღვევა მისი წესდების არც ერთი პუნქტი.

სსრ კავშირმა სოკ-ს უკვე გაუგზავნა ეს გარანტიები. შარშან „უნივერსიადა-73“-ის საპატიო წევრთა შორის იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ლორდი კილანინი, რომელიც მოსკოვში ყოფნისას შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. კოსიგინს. საბჭოთა მთავრობის მეთაური დაინტერესდა ოლიმპიადით და განაცხადა, რომ, თუკი მოსკოვის კანდიდატურა საყოველთაო მხარდაჭერას მიიღებს, მთავრობა ყოველმხრივ დაეხმარება მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტაში.

ეს დახმარება, უკვე დღევანდელი გაანგარიშებით, მართლაც არნახული იქნება.

შარშან დეკემბერში შეიქმნა ოლიმპიური სამზადისის სპეციალური კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი. კომიტეტში შევიდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტორიტეტული წარმომადგენლები, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები.

რა უნდა გაკეთდეს ოლიმპიადამდე დარჩენილ ექვს წელიწადში?

უკვე დაიწყო ბევრი სპორტული ნაგებობის პროექტთა დამუშავება. მათ რიცხვშია 50000-ადგილიანი უნივერსალური დარბაზი მშვიდობის პროსპექტზე, ახალი ველოტრეკი, იპოდრომი, სასროლეთი... მაგრამ მხოლოდ სპორტული ბაზების მშენებლობით მოსკოვის ოლიმპიური საზრუნავი, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება. ოლიმპიადას უამრავი მაყურებელი და მილიონობით ტელეგულშემატკივარი ეყოლება. გაიხსენეთ მიუნჰენის ოლიმპიადა, რომელსაც 12 სატელევიზიო პროგრამა ემსახურებოდა. ამბობენ, რომ მიუნჰენის სპორტულ ბატალიებს თვალს ადევნებდა მილიარდამდე ტელემაყურებელი. აი, რა გრანდიოზული მასშტაბები აქვს თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს!

სსრ კავშირს აქვს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, აგრეთვე, სხვადასხვა სახის კავშირის ფართო ქსელი, რომლის სიმძლავრეც შესაბამისი რეკონსტრუქციის შედეგად ერთიორად გაიზრდება. ამას უნდა დავუმატოთ მართვის ავტომატური სისტემა, პრესისა და ინფორმაციის საშუალებათა უახლესი აღჭურვილობანი და სხვ.

არსებობს ოლიმპიური სოფლის შექმნის გრანდიოზული პროექტი. ეს სოფელი მოეწყობა იზმაილოვის პარკის რაიონში და დააკმაყოფილებს არა მარტო ჩასულ სპორტსმენებს, არამედ მსაჯებს, სხვა მომსახურე პერსონალს და პრესის წარმომადგენლებსაც.

დიდი გეგმებია დასახული უცხოელი ტურისტებისა და საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩასული სპორტის მოყვარულების დაბინავებისთვის. ოლიმპიადის დღეებში მთლიანად გარდაიქმნება საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების ობიექტების მუშაობა, ტრანსპორტის საქმიანობა...

იქნება თუ არა მოსკოვი 1980 წლის ოლიმპიადის დედაქალაქი? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას აღარაფერი აკლია. მოსკოვი მზადაა იმისთვის, რომ სანიმუშოდ ჩაატაროს თანამედროვე სპორტის ყველაზე დიდი და შთამბეჭდავი დღესასწაული.

„ლელოს“ მიმომხილველი.

## დაჯილდოება

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა ამ დღეებში დიდ წარმატებას მიაღწიეს და ფიზკულტურის კოლექტივების საკავშირო თასი მოიპოვეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ამ წარმატებისთვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა „მეტალურგის“ ფეხბურთელები: ვ. მელაძე, თ. ჩლაიძე, ვ. ავერინი, ა. პავლოვი, გ. კირვალიძე, მ. ჯიქია, ზ. მაისურაძე, გ. სიმონიშვილი, ლ. გოგუაძე, ზ. ჯაფარიძე, თ. კონიაშვილი, თ. მიქაშავიძე, ი. ალადაშვილი, ო. შენგელია, თ. ლოლობერიძე, ი. გენგიშვილი, თ. ადუაშვილი, ზ. გაგუა და გუნდის მწვრთნელი ფ. ჭელიძე.

საპატიო სიგელებით დაჯილდოებული არიან, აგრეთვე, გუნდის ექიმი მ. გეგეჭკორი, რუსთავის ალკკ საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ასლანიკაშვილი, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ჯებაშვილი, რუსთავის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ა. კობაიძე.

* * *

**სურათებზე:** რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელები (მარცხნიდან): სხედან — თ. კონიაშვილი, ვ. ავერინი, ვ. მელაძე, თ. ლოლობერიძე, ზ. ჯაფარიძე, ზ. გაგუა, თ. ადუაშვილი, ი. გენგიშვილი; დგანან — თ. ჩლაიძე, ი. ალადაშვილი (გუნდის კაპიტანი), გ. კირვალიძე, ლ. გოგუაძე, მ. ჯიქია, ო. შენგელია, თ. მიქაშავიძე, ზ. მაისურაძე, გ. სიმონიშვილი; მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ფ. ჭელიძე.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# ამოცანა: შრომისა და სპორტისთვის ღირსეული რეზერვის მომზადება

რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამის წინათ მიღებული დადგენილების გაცნობას და მისი გადაწყვეტილებების განხორციელების გზების დასახვას მიეძღვნა ამ დღეებში გამართული საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემისა და „შრომითი რეზერვების" მუშაკთა აქტივის კრება.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქ. მიქიაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებს ემსახურება 170-მდე ფიზკულტურული მუშაკი. მოსწავლეების ფიზიკურ აღზრდის ხელმძღვანელობს სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო.

1973 წელს ნაყოფიერი მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობისთვის საზოგადოება „შრომითი რეზერვები" და ცალკეული სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივები დაჯილდოვდნენ საკავშირო გარდამავალი დროშითა და პრიზებით.

საზოგადოებას ჰყავს მსოფლიო ჩემპიონი თ. კიკნაძე, ევროპის ჩემპიონები ვ. იმერლიშვილი და ი. ლეგაშვილი, საერთაშორისო ასპარეზობათა მონაწილეები ნ. ბუთხუზი და ნ. მაჭარაშვილი, სსრ კავშირის 7 ჩემპიონი. პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XIV საკავშირო სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მოიპოვეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 40 მედალი. საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ემზადება სისტემის 34 სპორტსმენი, რომლებიც საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობაში შედიან. მაგრამ სასწავლებლების ფიზკულტურული მუშაკები და საზოგადოება „შრომითი რეზერვების" საბჭო ჯეროვან მუშაობას არ ეწევიან. ამიტომაცაა, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჩაბმულია მოსწავლეთა მხოლოდ ნახევარი.

მშდ კომპლექსის ნიშნოსნებისა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმა არ არის შესრულებული. 5 წლის განმავლობაში არ მომზადებულა არც ერთი სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი კრივში (მწვრთნელი ა. ხატოევი).

ნაკლები ყურადღება ეთმობა ცურვის შესწავლას, იმ მიზეზით, რომ არა აქვთ საკუთარი საცურაო აუზები. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა არსებული აუზებიც მთლიანი დატვირთვით არ მუშაობენ.

ფიზკულტურის გაკვეთილები არ ტარდება მაღალ დონეზე. მოსწავლეებს სპორტული ფორმები არ აცვიათ. არის შემთხვევები, რომ ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელები უფორმოდ ცხადდებიან გაკვეთილებზე. მაგალითად, ასეთი ფაქტი მოხდა რუსთავის მე-16, თელავის 52-ე, მახარაძის 53-ე სასწავლებლებში.

წელს თბილისის 75-ე, მე-80 და ბათუმის 44-ე საშუალო პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა ახალ სასწავლო-საყოფაცხოვრებო შენობებთან ერთად კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზებიც მიიღეს.

სულ მალე თბილისის პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები მიიღებენ შესანიშნავ სპორტის სასახლეს, რომელიც ლენინის რაიონში შენდება.

სასწავლებლებში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვისთვის გათვალისწინებულია პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნას ფიზიკური აღზრდის სექტორი.

ამას წინათ კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რომ მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილონ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მისი შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონი თ. კიკნაძე, თბილისის მე-6 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ნ. კუჭავა, უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ნ. გაჩეჩილაძე, 36-ე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. თელია, ფოთის მე-12 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ი. ნარმანია, მძლეოსნობის მწვრთნელი თ. რაქმანოვა, ველისციხის მე-13 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ა. ჯალაღანია, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ინსპექტორი სამხედრო მომზადების დარგში მ. კინწურაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს პროფტექნიკური განათლების განყოფილების გამგე ა. შენგელია, წულუკიძის მე-9 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელი გ. კაკაურიძე, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. მეგრელიშვილი.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ბევრი საინტერესო საკითხი წამოაყენეს. მაგალითად, მათ თქვეს, რომ კარგი იქნება, თუ „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო ხშირად მოაწყობს სპორტულ შეჯიბრებებს, ეწვევა მოძმე რესპუბლიკებს და უმასპინძლებს მათს გუნდებსაც. უმჯობესი იქნება ცალკეულ სასწავლებლებში ძირითადად დაინერგოს ერთი ან ორი სახეობა, მიზანშეწონილია ფიზკულტურის გაკვეთილზე მოსწავლეები ჯგუფებად დავყოთ, ვინაიდან ერთი მასწავლებელი ვერ ასწრებს 30-მდე მოზარდთან მუშაობას.

კრების მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ი. შევარდნაძემ.

დაბოლოს, ფიზკულტურული აქტივისტების ჯგუფს გადაეცა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელები.

# მოწინავე კომკავშირელი, კოლმეურნე, სპორტსმენი

სპორტი, განსაკუთრებით კი თავისუფალი ჭიდაობა, მან ბავშვობაშივე შეიყვარა. იქნებ ეს ოჯახურმა ტრადიციამ განაპირობა (მამაც და პაპაც ჭიდაობის ტრფიალნი იყვნენ), ანდა ახალგაზრდა მოჭიდავის დიდმა სურვილმა, რომ სახელოვანი ფალავანი გამხდარიყო. ასეა თუ ისე, თამაზ მუმლაძემ სკოლის ასაკშივე დაუკავშირა თავისი ბედი გამოცდილ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ არსენ წიქორიძეს, რომელმაც ფეროშენადნობთა ქარხნის ბაზაზე ენთუზიასტთა პატარა ჯგუფი შეაგროვა და მათს დაოსტატებას მიჰყო ხელი.

სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ ყველა ახალგაზრდა, ვინც კი სპორტითაა დაინტერესებული, ოლიმპიური ან მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. ამდენი ვაკანსია დიდ სპორტში არც არსებობს. მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ ყოველი მოზარდი რომელიმე სპორტულ სექციაში იყოს ჩაბმული. ეს საჭიროა ხასიათის ჩამოყალიბებისთვის, ჯანმრთელობისთვის...

თამაზ მუმლაძეს დაუფასებელი სამსახური გაუწია ახალგაზრდობის გატაცებამ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი კომკავშირის საგზურით ცხრაწყაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მივიდა, აიღო ვენახის საკმაოდ მოზრდილი ნაკვეთი და მუშაობას შეუდგა. სპორტში ნაწრთობი ახალგაზრდა სიძნელეებს არ შეუშინდა და მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ერთხელ საკოლმეურნეო ფერმას ჯან-ღონით სავსე ბიჭების დახმარება დასჭირდა და თამაზიც უმალ იქ გაჩნდა. დრო გავიდა და მოწინავე მევენახე ერთ-ერთი მოწინავე მწყემსიც გახდა.

ამ პერიოდში იგი თანატოლებს არც საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩამორჩენია. ჯერ კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე იყო, ამჟამად კი კომკავშირული პროჟექტორის შტაბს ხელმძღვანელობს და თანაც ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორია. როგორც ხედავთ, აქტიური კოლმეურნე არც სპორტს ივიწყებს, თვითონაც სისტემატურად ვარჯიშობს და სხვებსაც წვრთნის. თ. მუმლაძე უკვე ოსტატობის კანდიდატია თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრი.

წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შრომით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური საქმიანობისთვის თ. მუმლაძე იუგოსლავიის ტურისტული საგზურით დააჯილდოვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი წარმატებით მუშაობს მასზე გაპიროვნებულ 750 კვადრატულ მეტრ ვენახის ფართობზე და მეცხოველეობის ფერმაში, სადაც ექვს თვეში უკვე გამოიმუშავა 140 ნორმა-დღე.

თამაზ მუმლაძის ცხოვრება კარგი მაგალითია იმათთვის, ვისაც სპორტიც უყვარს და შრომაც.

ა. ბანუზრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.




# ყველა პარტია გადაიდო

IX ტურში არც ერთი შეხვედრა არ დამთავრებულა. ეს პირველად მოხდა ამ ჩემპიონატში; რაც ბრძოლის დიდ სიმძაფრეზე მეტყველებს. არც ლიდერთა მდგომარეობა შეცვლილა. კვლავ წინაა მ. ფათალიბეკოვა (ის ამ ტურში თავისუფალი იყო) — 7,5 ქულა. სხვებს იგივე ქულები დარჩათ, ოღონდ ყველას თითო გადადებული პარტია დაემატა. ახლა მ. რანიკუს (ტალინი) 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ც. კობაიძეს (თბილისი), 8. შულს (ლვოვი) — 4,5-4,5 ქულა და თითო გადადებული პარტია და ა. შ.

გადადებული პარტიის თამაში მეტ მომზადებას მოითხოვს. პირველ ყოვლისა, მთავარია სწორად შეფასდეს შეწყვეტილი პოზიცია და თამაშის ლოგიკური გეგმა დაისახოს. იქნებ ამ თვალსაზრისით არც იყოს მართებული ჩვენი მხრიდან გადადებულ პოზიციაზე აზრის გამოთქმა. ეს ხომ კარნახს ჰგავს. მაგრამ მკითხველსაც რომ სურს იცოდეს თავისი რჩეულის პოზიციის ავ-კარგი?

— კობაიძე — პოპოვას შეხვედრა ალბათ ყაიმით დამთავრდება, — ვეუბნები ცნობილ ოსტატს მანანა ტოგონიძეს, როცა მეტოქენი თხი ეტლის დაბოლოებაში გადავიდნენ.

— დემონსტრატორს ჯერ პოპოვას საპასუხო სვლა არ გაუკეთებია. აქედან დავინახე, რომ იგი პაიკს კარგავს, ცუდად ითამაშა, — მიპასუხა მანანამ.

მართლაც, ცაიტნოტში ტ. პოპოვამ (მოსკოვი) პაიკი წააგო. პარტია კობაიძისთვის მოსაგებ პოზიციაში გადაიდო.

— როგორ შევაფასოთ მაიას პოზიცია შულთან? — ისევ ვკითხე მანანას.

— რთული მდგომარეობაა, ჩიბურდანიძისთვის ოდნავ უარესი, — იყო პასუხი.

პარტიის გადადებამდე ნორჩ მოჭადრაკეს შულის მეფის დალაშქვრა შეეძლო, მაგრამ აწუხებდა თავის პოზიციაში შეჭრილი თეთრი პაიკი. ბოლოს ამ პაიკსა და მის დამცველ მხედარში მაიამ ეტლი დათმო. ლაზიერის ფრთაზე შულმა სახიფათო მუქარა შექმნა.

— ხუგაშვილს კუსა და მხედარში ეტლი და ორი პაიკი აქვს, მაგრამ ფომინას გამსვლელი პაიკი საეჭვოდაა დაწინაურებული, — ასეთი დიაგნოზი დაუსვი თბილისელი მოჭადრაკის პოზიციას.

— ამ პაიკის ნეიტრალიზება არც ისე ადვილია, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია მსხვერპლის გაუღებლად, — შენიშნა მანანამ.

ეს, ასე ვთქვათ, ცხელ გულზე გამოტანილი აზრია. ხუგაშვილი და მისი მწვრთნელი დიდოსტატი ბ. გურგენიძე ანალიზით, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებას დაადგენენ.

უღიმღამო პოზიცია აქვს რანიკუს ტ. მოროზოვასთან (ლვოვი). მას ენდშპილში ორი პაიკი აკლია. ზუსტი თამაშით მოროზოვას შეუძლია გაიმარჯვოს. ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) პარტია ახალგაზრდა ტ. კოსტინასთან (მინსკი) თოხი ეტლის დაბოლოებაში გადადო, სადაც ჯერჯერობით ორი პაიკით ნაკლები აქვს. ამ ენდშპილის შესახებ ტოგონიძემ გვითხრა:

— ინიციატივას კოზლოვსკაია ფლობს. პოზიცია ძალიან მწვავედ უნდა მივიჩნიოთ. საბოლოო სიტყვა აქაც ანალიზმა უნდა თქვას. თუ ასეა, მაშინ კოზლოვსკაიას მწვრთნელი დიდოსტატი ი. ბონდარევსკი ანალიზს ცდასა და მონდომებას არ დააკლებს.

მოსაგები მდგომარეობა აქვთ ა. გრინფელდს (კალინინგრადი) — ე. ზახაროვთან (მოსკოვი), ლ. მულენკოს (ზაპოროჟიე) — ა. კისლოვასთან (ომსკი).

ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) კი პერსპექტიულ პოზიციაში გადადო პარტია რ. ბილუნოვასთან (მოსკოვის ოლქი). თანაბარ ენდშპილში შეწყდა თ. გოლოვეი (მინსკი) — მ. სამულის (ტალინი) შეხვედრა.

დღეს მონაწილენი გადადებულ პარტიებს დაამთავრებენ.

თ. გიორგაძე.

* * *



სურათზე (მარცხნიდან): საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, დიდოსტატი ბ. გურგენიძე და ოსტატობის კანდიდატი ვ. ბაბიაშვილი მაყურებელთა დარბაზში.

ა. კავკასიძის ფოტო.

# ჭადრაკის სიახლენი

## გაიხსნა ჭადრაკის კლუბი

თელაველ მოჭადრაკეებს ოცნება აუსრულდათ: რაიონის ცენტრში ჭადრაკის კლუბი გაიხსნა. მოჭადრაკეთა განკარგულებაშია ფართო და ნათელი ოთახები, შეიძინეს საჭადრაკო მაგიდები, ჭადრაკის კომპლექტები, საათები, აგრეთვე, მაგნიტური სადემონსტრაციო დაფა. კლუბს თავკაცობს პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე ვ. ჩიტაშვილი.

ამ დღეებში კლუბში სტარტი აიღო ვაჟთა ტურნირმა, რომლის შედეგების მიხედვითაც რაიონის ნაკრები გუნდი დაკომპლექტდება.

გ. ელიოზიშვილი,
ბ. ნებურიშვილი.

თელავი.

# პლაგიატი თუ გამეორება?!

საჭადრაკო კომპოზიციის ამომხსნელთა ერთ-ერთი რესპუბლიკური კონკურსის მასალებში ქვემოთ მოყვანილი ამოცანა შემხვდა:



შამათი სამ სვლაში

გამიკვირდა, რომ მის ავტორად გერმანელი პრობლემისტი ო. ფუსი იყო დასახელებული. ვიცოდი, რომ ეს ამოცანა გაზეთ „კომუნისტის" 1930 წლის ერთ-ერთ ნომერში ჩვენი თანამემამულის მ. შედანიას ხელმოწერით დაისტამბა.

„მეცდომაზე" კონკურსის თავკაცებს მივუთითე. მათ მიპასუხეს, რომ ეს ამოცანა მ. შედანიაზე ადრე, 1889 წელს ო. ფუსმა გამოაქვეყნა გერმანული საჭადრაკო ჟურნალის „დოიჩე შახცაიტუნგის" მაისის ნომერში.

ამ ამბავმა მიბიძგა უფრო ახლოს გავცნობოდი მ. შედანიას სხვა ნამუშევრებს. მივაგენი სამ ამოცანას, რომლებიც 1935 წლის შემდეგ იყო გამოქვეყნებული. სამივეს ახალბედა პრობლემისტის ხელი აჩნდა.

მაშ, მ. შედანიას ამოცანა პლაგიატია თუ ცნობილის გამეორება? ალბათ გამეორებაა. მინიატიურული ამოცანების თხზვის პრაქტიკაში ხშირია ორი სხვადასხვა ავტორის ამოცანებში დაწყებითი პოზიციის დამთხვევა. მაგრამ ავტორად ის პრობლემისტი ითვლება, რომელიც ამოცანას პირველი გამოაქვეყნებს.

რ. თავარიანი,
ჭადრაკის კომპოზიტორი.



# სსრ კავშირის პირველობა

## I ლიგა

## ძამოუყენებელი უპირატესობა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 7 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1 (1:1).

„ტორპედო“: გაბელია, კოსტავა, ფიფია, ჭოხონელიძე, ქვირია, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია, ფესტვენიძე, შენგელია, ბურკაძე (სულაქველიძე).

„შინიკი“: ჩურკინი, რასტეგაევი, ნ. სმირნოვი, მირონოვი, ფომინი, რობინი, ტკაჩოვი, ფროლოვი (კოტოვი), გავრილოვი, ა. სმირნოვი, კოროტკოვი.

მსაჯი ო. კაჩუმოვი (აშხაბადი).

დუბლიორები — 1:0.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ქუთაისის ტორპედოელებს ბოლო ორ ტურში ძალიან მძიმე მატჩები ჰქონდათ სტუმრად I ლიგის ლიდერებთან და მათ, თუმცა დაძაბული ბრძოლის შემდეგ, მაინც წააგეს ორივე შეხვედრა.

ამ დანაკლისის ანაზღაურება საჭირო იყო საკუთარ მინდორზე და ტორპედოელები ამას პირველივე მატჩში შეძლებდნენ, მეტი ყურადღებით რომ ეთამაშათ. შეტევის დასასრულს, ზუსტი დარტყმებით დაეგვირგვინებინათ ტერიტორიული უპირატესობა. „შინიკის“ კართან არაერთი საგოლე მომენტი შეიქმნა, რომლებიც უნაყოფოდ დაიკარგა. მეტიც: მასპინძლებს ასეთ პირობებში ანგარიშის გათანაბრებაზე მოუხდათ ფიქრი.

უკვე მე-9 წუთზე შენგელია სულ რამდენიმე ნაბიჯზე პირისპირ დარჩა მეკარე ჩურკინთან და დაკარგა ბურთის გატანის უდავო შანსი. შემდეგ ასეთივე ბედი ეწია ფესტვენიძის დარტყმას, მე-20 წუთზე კი რიბინი თავისი გუნდის ერთ-ერთი კონტრიერიშისას ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ანგარიში გახსნა.

ქუთაისელები ვალში დიდხანს არ დარჩენილან, ვინაიდან უკვე წუთის შემდეგ ჩახუნაშვილისგან მიღებული ბურთი შენგელიამ ზუსტად დაარტყა მეტოქის კარში.

ეს იყო და ეს. შემდეგ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა, თუმცა მასპინძლებს რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ საამისოდ.

**შ. ნიჟარაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „პამირი“ (დუშანბე) — „დინამო“ (მინსკი) 2:0, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 4:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — ასკ (როსტოვი) 2:3, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:2, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ზვეზდა“ (პერმი) 4:3, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:2.

გუშინწინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „სპარტაკი“ — ცსკა. სპარტაკელი პისკარიოვის მიერ მე-9 წუთზე გატანილი გოლი მე-40 წუთზე ბრწყინვალე შორეული დარტყმით გაქვითა შლაპაკმა, მაგრამ შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა მაინც იმარჯვეს: გადამწყვეტი გოლი არმიელთა კარში 88-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა ანდრეევმა — 2:1.

გაფრთხილება მიეცა არმიელ უტკინს, ხოლო ცსკა-ს კაპიტანი კაპლიჩნი მსაჯმა ვ. ლიპატოვმა მინდვრიდან გააძევა.

## უმაღლესი ლიგა

# ორი საინტერესო წიგნი ერთ თემაზე

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ძნელია ერთსა და იმავე საკითხზე გამოსულ ორ წიგნში გამეორებები არ შეგვხვდეს. მაგრამ, თუ საწინააღმდეგოს დამტკიცებას მოითხოვთ, სიამოვნებით შემოგთავაზებთ ახლახან წიგნის ბაზარზე თითქმის ერთდროულად გამოსულ ორ წიგნს: ნ. გუგუშვილის „9 ჩემპიონატი და მეათის ფინიში“ და ა. გოგოლაშვილის „ნიკეს ცხრა გაზაფხული“.

როგორც მკითხველი უკვე მიხვდა, ორივე წიგნი ეხება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიას. ფეხბურთის ისტორიკოსები კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან ამ საინტერესო თემას, მაგრამ ორივე ზემოხსენებული ნაშრომი ქართველ სპორტის მოყვარულთა სამაგიდო წიგნი იქნება. ორივე წიგნი მკითხველთა ფართო მოწონებით რომ სარგებლობს, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ისინი ბაზარზე უკვე ძნელად იშოვება, ეს მაშინ, როცა წიგნების ტირაჟი საკმაოდ სოლიდურია (თითოეული 40000 ცალი).

ორივე წიგნში დაწვრილებითაა მოთხრობილი ყველა მსოფლიო ჩემპიონატის ისტორია. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ფინალურ თამაშებს. მკითხველი ბევრ საინტერესო ფაქტს ამოიკითხავს ამ თამაშის შესახებ.

ორივე წიგნი უხვადაა ილუსტრირებული.

დასასრულს სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ კარგი საქმე გააკეთა, როცა მკითხველთა წიგნის თარო ამ ნაშრომებით შეავსო.

**ა. ცეხანელი.**






# არ შევაშინოთ სიტყვამ „ტოტალური“

მაშ ასე: ტოტალური ფეხბურთი! როგორც სიტყვა „ტოტალური“ გვიჩვენებს, იგი ძნელი სათამაშო უნდა იყოს, ვინაიდან ძნელია მოიცვა ყოველივე. მაგრამ ხომ ითამაშეს ამნაირად გფრ-ის სტადიონებზე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე მოწინავე გუნდებმა და წარმატებასაც მიაღწიეს. ტოტალური ფეხბურთის ფორმულა რომ წარმოვიდგინოთ (უკლებლივ მთელი ძალ-ღონისა და უნარის მოხმარება მატჩისთვის, მთელი ერთობლივი ძალების მოკრება და მოძრაობა, მოძრაობა...), ზოგიერთს შესაძლოა ეგონოს, ეს რა იოლი საქმე ყოფილაო, საბჭოთა ნაკრები განა ასე არ თამაშობსო?.. ასეთებს საკითხის გარკვევაში დასახმარებლად პირველ ყოვლისა ჟ. აველანჟის ერთ უაღრესად ზუსტ მოსაზრებას გავახსენებ: საბჭოთა ფეხბურთელები (ლაპარაკი ეხებოდა ნაკრებს) იმდენად ბევრს დარბიან, რომ თამაშისთვის დრო აღარ რჩებათო.

ისე კი, აბა როგორ შეიძლება ზემომოყვანილი ფორმულის ასე პრიმიტიულად გაგება. უკლებლივ მთელი ძალ-ღონისა და უნარის მოხმარება მატჩისთვის, მთელი ერთობლივი ძალების მოკრება და მოძრაობა, მოძრაობა აბსოლუტურად ყველა გუნდს შეუძლია, მაგრამ ჩვენ სულ სხვა ხარისხზე გვაქვს ლაპარაკი და ეს ხარისხი გულისხმობს უმაღლესი კატეგორიის ტექნიკითა და ტაქტიკით აღჭურვილ კოლექტივებს. ტოტალური ფეხბურთი სწორედ ასეთ გუნდებში შეიძლება დაინერგოს, უკეთუ იგი ამ უმაღლეს ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაზეა დამყნილი, იქიდანაა აღმოცენებული და გახარებული.

თავისთავად ცხადია ისიც, რომ ტოტალური ფეხბურთი უცილობლად ითვალისწინებს მოთამაშეთა უნივერსალიზაციას, ესე იგი, ყოვლად წარმოუდგენელია და შეუძლებელი გუნდმა წარმატებით ითამაშოს ყოვლისმომცველი ფეხბურთი, თუ მის უმეტესობას უნივერსალური ფეხბურთელები არ შეადგენენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე გამართული X მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში ამ მხრივ სამაგალითონი იყვნენ მასპინძელი ქვეყნისა და ჰოლანდიის ნაკრები კოლექტივები. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, როგორც წინა წერილში აღვნიშნე, ტოტალური ფეხბურთის ფუძემდებლად სწორედ ამ სახელმწიფოთა საკლუბო გუნდები (პირველ ყოვლისა, „ბაიერნი“, „ბორუსია“, „აიაქსი“, „ფეიენოორდი“) გვევლინებიან. და მაშინ, რამდენიმე წლის წინათ, როგორც ნ. სიმონიანი ამბობს, ყოველივე ეს საბჭოთა სპეციალისტებისთვის თავის დროზე რომ ეჩვენებინათ, „ჰოლანდიელთა თამაში (ლაპარაკია „აიაქსზე“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში), ვფიქრობ, აღარ იქნებოდა ჩვენთვის თუმცა, მართალია, სასიამოვნო, მაგრამ დაგვიანებული აღმოჩენა“.

აი, სულ ასე კუდში მიჩანჩალებს სსრ კავშირის ნაკრები თავისი არსებობის ყოველ ეტაპზე მსოფლიო საფეხბურთო ცხოვრების მოვლენებს, ძვრებს, სიახლეებს... და იმის ნაცვლად, რომ მიიღონ რადიკალური, გადამჭრელი ზომები უაღრესად უღიმღამო მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამხანაგურ მატჩებში არასახარბიელო შედეგების შემთხვევაში გუნდს უმალვე უცვლიან სახელს — სსრ კავშირის კლუბების ნაკრებს არქმევენ! აი, სადამდე მიდის „მუნდირის ღირსებისთვის“ ბრძოლა, თუმცა უპირატესად, ცხადია, მინდორზე ბრძოლის ხარისხის ამაღლებას უნდა მიექცეს მთელი ყურადღება. საქმე განა სახელწოდებაშია? ანდა, კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა სსრ კავშირის ნაკრებსა და სსრ კავშირის კლუბების ნაკრებს შორის?

... მაინის ფრანკფურტის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ მოწყობილ პრეს-ცენტრში ტოტალურ ფეხბურთზე საუბრისას ერთმა ჟურნალისტმა თქვა, ეგ მე არ მომწონს, ვინაიდან ტოტალური თამაში მხოლოდ ძალისმიერ ფეხბურთელებს ძალუძთო. მას უმალვე დაუმტკიცეს ამ მოსაზრების მცდარობა — მხოლოდ რამდენიმე გვარი დაუსახელეს: ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, ოვერატი, კრუიფი, ფრანსისკო მარინიო, დეინა... ერთ რამეში, ნაწილობრივ სწორი იყო ის ჟურნალისტი: ამგვარი თამაშისთვის ფეხბურთელი ფიზიკურად ჩინებულად უნდა იყოს მომზადებული.

ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები, ყველა სხვა შესანიშნავი თვისების გარდა, საოცარი არტისტიზმითაც გამოირჩეოდნენ. ამგვარად, ტოტალური ფეხბურთი სულაც არ ნიშნავს „ჭუჭყიან“, მხოლოდ და მხოლოდ ათლეტურ ფეხბურთს და, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი თამაშობს დევიზით — „ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის“, იგი, ეს თამაში, ძალიან დახვეწილია და მოთამაშეთა იდეალურ ურთიერთგაგებას, შეხმატკბილებას მოითხოვს.

... მე ხშირად ვფიქრობ უკანასკნელ სამ მსოფლიო ჩემპიონატზე და მათს შორის პარალელებს ვავლებ. ყოველ ძნელია სასწორზე ამ სამი შესანიშნავი ტურნირის დადება, აწონ-დაწონა, ერთმანეთთან შედარება. ინგლისის VIII მსოფლიო ჩემპიონატიდან რვა წელიწადზე მეტი გავიდა, მექსიკის მეცხრეც კარგა ხანია ისტორიის კუთვნილება გახდა და, ერთი შეხედვით, მეხსიერებაში ყველაზე გაუხუნარი თითქოს ივლისის პირველი კვირის მიწურულს დასავლეთ გერმანიაში დამთავრებული ჩემპიონატი უნდა იყოს. მაგრამ მთლად ასეც არ არის: ფეხბურთის თვალსაჩინო, აშკარა პროგრესის მიუხედავად, დღემდე გადაჭრით ვერ გადამიწყვეტია, თავისი ხარისხით, გუნდების მრავალფეროვნებით, მატჩებისადმი ინტერესით, ასპარეზობის ორგანიზაციით და სხვა ატრიბუტებით რომელი ჩემპიონატი სჯობს — მექსიკისა თუ დასავლეთ გერმანიისა (ინგლისში გამართულ შეჯიბრებას ძალიან ბევრი მიზეზით, უპირველეს ყოვლისა კი მასპინძელთა ნაკრებისადმი მსაჯების აშკარა მიკერძოების გამო, ვერც ერთ მის მომდევნოს ოდნავადაც ვერ შევადარებ).

ერთი რამ კი, ჩემი აზრით, უდავოა: X გათამაშება — ეს იყო ტოტალური ფეხბურთის ზეიმი, როცა ყოვლისმომცველ ფეხბურთს თამაშობდნენ მთელი გუნდები და არა ცალკეული ფეხბურთელები, როგორც ეს უწინ იყო. ცალკეული ფეხბურთელები ინგლისის და შემდეგ მექსიკის სტადიონებზე გაჩაღებულ ბრძოლებშიც ბრწყინავდნენ ამ მხრივ. გავიხსენოთ თუნდაც ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატიდან პორტუგალიის ნაკრების დიდებული ნახევარმცველი ნესტორ კოლუნა, ან მისი ინგლისელი კოლეგა ბობი ჩარლტონი, ან იმავე გუნდის კაპიტანი ბობი მური, მექსიკის გათამაშებიდან — პელე, რიველინო, ჟერსონი, ოვერატი...

წინა და უკანა რგოლების დაკავშირებით გამოწვეული ყველაზე დიდი რადიუსით მოქმედებისა და, აქედან გამომდინარე, მეტად დიდი ჯაფის გამო ტოტალური ფეხბურთის მამამთავრებად ნახევარმცველები გვევლინებიან. მაგრამ ეს დრო ისტორიას ჩაბარდა. მაინის ფრანკფურტის, დასავლეთ ბერლინის, ჰამბურგის, დორტმუნდის, დიუსელდორფის, ჰანოვერის, გელზენკირხენის, შტუტგარტის, მიუნხენის სტადიონებზე მსოფლიოს მოწინავე გუნდებში ყველას, განურჩევლად ყველა მოთამაშეს — მცველს, ნახევარმცველს, თავდამსხმელს — უაღრესად დიდი ჯაფა ადგა და არავინ იფარგლებოდა თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე ძველი ფუნქციებით.

ამის დასტურად უამრავი მაგალითი შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ ერთიც საკმარისია. მინდა გაგახსენოთ ორი ნახევარმცველი: ოვერატი (გფრ) და ნეესკენსი (ჰოლანდია). თქვენ, დარწმუნებული ვარ, გახსოვთ მათი მოქმედების დიაპაზონი, მათი წვლილი გუნდების ტაქტიკურ ვარიაციებში, მათი შეუპოვრობა მეტოქის კარის აღებაში და საკუთარის ხელშეუხებლობაში... ერთი შეხედვით ძალისმიერი ყაიდის მოთამაშე ნეესკენსი უაღრესად მოქნილი და მობილურია. ეს ბრწყინვალე ტექნიკის მქონე ფეხბურთელი რაღაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშუალოა, გარდამავალია არტისტულ და ძალისმიერ მოთამაშეს შორის. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი ფანტასტიკური ალღო კარში დარტყმისას, როცა იგი პარტნიორის გადაცემას როგორღაც აგრძელებს და ბურთი მეტოქის კარში აღმოჩნდება. ასე მას არაერთი ბურთი გაუტანია, რომელთაგან განსაკუთრებით დასამახსოვრებელია პირველი გოლი აწ უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონთა — ბრაზილიელთა კარში.

ოვერატზე მე უწინაც ბევრი დამიწერია და ამჯერად თავს არ შეგაწყენთ. იგი ყველაზე მეტად მომეწონა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში (ისე, როგორც კოლუნა — ინგლისში). მაგრამ, ჩემი აზრით, მან მექსიკის შემდეგ ცოტათი უკლო თამაშს, თუმცა თავის სამშობლოს სტადიონებზეც საფესებით საიმედოდ გამოიყურებოდა.

დაბოლოს უნდა გითხრათ, რომ პარიზის ჟურნალ „ფრანს-ფუტბოლის“ კორესპონდენტებმა, რომლებიც X მსოფლიო ჩემპიონატს ესწრებოდნენ, გამოაქვეყნეს მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელების საკუთარი ვარიანტი. აი, ეს საყურადღებო სიაც:

მეკარეები: მაიერი (გფრ), ჰელსტრიომი (შვეცია), ტომაშევსკი (პოლონეთი), იონგბლადი (ჰოლანდია), კროი (გდრ).

მარჯვენა მცველები: ფოგთსი (გფრ), სუურბიერი (ჰოლანდია), ჯარდინი (შოტლანდია), ვოლფი (არგენტინა), ბულიანი (იუგოსლავია).

ცენტრალური მცველები: ბეკენბაუერი (გფრ), ლუის პერეირა (ბრაზილია), ფიგეროა (ჩილი), ჰაანი (ჰოლანდია), კატალინსკი (იუგოსლავია).

მარცხენა მცველები: ბრაიტნერი (გფრ), ფ. მარინიო (ბრაზილია), კროლი (ჰოლანდია), ჰაჯიაბდიჩი (იუგოსლავია), ბუჩანი (შოტლანდია).

ნახევარმცველები: ნეესკენსი (ჰოლანდია), დეინა (პოლონეთი), ვან ჰანეგემი (ჰოლანდია), ბრემნერი (შოტლანდია), ოვერატი (გფრ).

მარჯვენა გარემარბები: ლატო (პოლონეთი), გრაბოვსკი (გფრ), რეპი (ჰოლანდია), აიალა (არგენტინა), ლორიმერი (შოტლანდია).

ცენტრალური თავდამსხმელები: კრუიფი (ჰოლანდია), ედსტრიომი (შვეცია), შარმახი (პოლონეთი), მიულერი (გფრ), ბონევი (ბულგარეთი).

მარცხენა გარემარბები: გადოხა (პოლონეთი), სანდბერგი (შვეცია), რენსენბრინკი (ჰოლანდია), ჰაუსმანი (არგენტინა), ჰოლცენბაინი (გფრ).

მართლაც საინტერესო სიაა. ნეტავ როდის იქნებიან ამგვარ სიებში საბჭოთა ფეხბურთელებიც?

**გ. პაპაზაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
მიუნხენი — თბილისი.




1 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდეს პარკ „ტივოლიში“ (კიოლნი) გაიხსნა ქუჩა „ვოლფგანგ ოვერატი“. განთქმულმა დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა თავისი ხელით დაამაგრა მისი სახელის აღმნიშვნელი დაფა ქუჩის დასაწყისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ROMA '74

# ყველა ჯერ რომში [illegible]

...შემდეგი საღამოს შეხვედრები 50 კილომეტრზე სპორტული სიარულით დაიწყო. ორი საათის შემდეგ ბრძოლაში უროს მტყორცნელები ჩაებნენ და ვიდრე დავას დაამთავრებდნენ, 100 მეტრზე თარჯმორბენლებმა მედლები გაინაწილეს. ა. ერჰარდტმა და ა. ფიდლერმა (ორივე — გდრ) მეტოქეებს გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვეს. ფინალში გდრ-ის სამი, სსრ კავშირისა და პოლონეთის ორ-ორი და ერთიც რუმინელი სპორტსმენი იბრძოდა, მაგრამ ერჰარდტს (12,66) მეტოქეობა მხოლოდ ფიდლერმა (12,89) გაუწია. ტ. ნოვაკი (პოლონეთი) ვერცხლის პრიზიორს 0,02 წამით ჩამორჩა. საბჭოთა მორბენლები ტ. ანისიმოვა (13,16) და ნ. ლებედევა (13,19) VI და VII ადგილებზე გავიდნენ.

მერე სარბიელი 3000 მეტრზე წინაღობებით მორბენლებს დაეთმოთ. სსრ კავშირს ამ სახეობაში მონაწილე თავიდანვე არ გამოუყვანია, ვინაიდან ღირსეული არავინ იყო.

ფინალური ასპარეზობა შესანიშნავ სპექტაკლს გავდა. სტარტიდანვე იგი იმდენად საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რომ ტრიბუნებს სპორტსმენებისთვის თვალი ბოლო მეტრამდე არ მოუშორებია, თუმცა ამ დროს უროს ტყორცნაში არანაკლებ უშეღავათო ჭიდილი გრძელდებოდა.

თავიდანვე იტალიელთა კერპი ფ. ფავა დაწინაურდა თუ არა, სტადიონის გიგანტური ოვალი ბობოქარ ვულკანს დაემგვანა. ტრიბუნების გუგუნი მანამ არ შემწყდარა, სანამ მონაწილეებმა რბენა არ დაამთავრეს. ეს ხმაური მხოლოდ მაშინ შენელდა, როცა პოლონელმა ბ. მალინოვსკიმ და შვედმა ა. ჰერდერუდმა ფინიშამდე 800 მეტრით ადრე ყველას საგრძნობლად გაასწრეს.

მებრძოლები ორ ჯგუფად დაიყვნენ: ჰერდერუდი მალინოვსკის დამარცხებას ცდილობდა, მეორე ჯგუფში დარჩენილნი კი ბრინჯაოს მედლის დასაკუთრების იმედით ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ.

გრძელფეხება პოლონელმა ბოლო წრეზე ძალიან უმატა ტემპს. შვედმა გამოწვევა მიიღო, მაგრამ მალინოვსკის მეტი ძალა აღმოაჩნდა და გაიმარჯვა — 8.15,0 (პოლონეთის რეკორდი). ჰერდერუდი მას 0,4 წამით ჩამორჩა.

ფავას, რომელმაც იტალიის რეკორდი დაამყარა (8.19,0), მ. კარსტმაც (გფრ) აჯობა.

ამასობაში უროს ტყორცნის სექტორში მსოფლიო რეკორდსმენი რ. ტაიმერი (გდრ), ევროპის წინა ჩემპიონატში გამარჯვებული უ. ბაიერი (გფრ) და სხვები უკანასკნელ ძალებს ხარჯავდნენ, რომ როგორმე დაეჯაბნათ ჩემპიონატის დებიუტანტი, ლენინგრადელი ა. სპირიდონოვი, რომელმაც უკვე პირველივე ცდაზე 74,14 მეტრს მიაღწია.

ფინალის ბოლო ცდაზე ყველას ისევ ახალგაზრდა ნიჭიერმა სპორტსმენმა ი. საქსემ (გდრ) აჯობა — ურო 70 მეტრზე ტყორცნა, რამაც სპორტსმენს ვერცხლის მედალი არგუნა. სპირიდონოვს ოქრო ჯიბეში ედო, მაგრამ ბოლო ცდაზე დღის საუკეთესო შედეგს კიდევ 6 სმ დაუმატა.

მართალია, 50 კილომეტრზე სპორტული სიარულის ოსტატთა ბრძოლას სტადიონზე შეკრებილნი ვერ ხედავდნენ, მაგრამ ყოველი 10 კილომეტრის შედეგები ტაბლოზე იწერებოდა. უფრო დაინტერესებულებს — ჟურნალისტებს, გუნდების წარმომადგენლებსა და მწვრთნელებს — შტაბი ყოველი კილომეტრის ლიდერთა მდგომარეობასაც ატყობინებდა. მედლებისთვის ბრძოლაში მთავარი ფავორიტები აგერ უკვე მერამდენე წელია სსრ კავშირის, გდრ-ისა და გფრ-ის ათლეტები არიან. ტრადიცია არც ახლა დარღვეულა: თავიდან ფრუნზელი ო. ბარჩი, ალმაათელი ვ. სოლდატენკო, ქ. ჰიონე, პ. ზელცერი, ვ. სკოტნიცკი (ყველა — გდრ), ხ. შუბერტი, გ. ვაიდნერი (ორივე — გფრ), იტალიელი ვ. ვიზინი დაწინაურდნენ, თუ შეიძლება ამას დაწინაურება ერქვას, ვინაიდან დანარჩენები მათ კვალში მიჰყვებოდნენ.

ლიდერები მხოლოდ შუა დისტანციის მერე გამოვლინდნენ. ესენი იყვნენ ბარჩი, ჰიონე და ვიზინი. შემდეგ მრავალ ბრძოლაში გამარჯვებულმა 33 წლის ჰიონემ, რომელიც მთავარ კონკურენტებში ყველაზე უფროსი იყო, ტემპს მკვეთრად უმატა და 41-ე კილომეტრიდან ერთპიროვნული ლიდერი გახდა. სტადიონზე მის გამოჩენას მქუხარე ტაში და გამამხნევებელი შეძახილები მოჰყვა, რაც მანამდე გაგრძელდა, სანამ სპორტსმენმა ბოლო 400 მეტრი არ გაიარა და ფინიშის ხაზიც არ გადაკვეთა — 3:59.05,6.

სწორედ ამ დროს ბარჩიც გამოჩნდა, მას მოჰყვნენ ზალცერი, ვიზინი, სოლდატენკო, სკოტნიცკი, ვაიდნერი, შუბერტი, მაგრამ არსად ჩანდა კიეველი ს. ბონდარენკო. თურმე მან დაძაბულობას ვერ გაუძლო და ბრძოლას გამოაკლდა.

იმ დღეს განაწილდა მედლების კიდევ ერთი კომპლექტი — ათჭიდელებმა ორდღიანი ბრძოლა დაამთავრეს. ეროვნული რეკორდით გაიმარჯვა პოლონელმა რ. სკოვრონეკმა — 8207 ქულა. მეორე პრიზიორი ი. ლერუა საფრანგეთის რეკორდსმენი გახდა — 8146. კიეველმა ლ. ლიტვინენკომ IV (8122) ადგილი დაიკავა, ხოლო მინსკელმა ა. ბლინიაევმა — VIII (7742).

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის ბოლოსწინა დღე საბჭოთა მძლეოსნებისთვის მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო: მათ ოქროს და ვერცხლის თითო მედალი მოიპოვეს, თუმცა საერთო ჩათვლაში ამ მხრივ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ.

საბჭოთა მძლეოსნებისთვის ჩემპიონატის ბოლო დღეც უიღბლო გამოდგა: თორმეტი ფინალიდან მათ მხოლოდ ერთში შეძლეს გამარჯვება — ოქროს მედალი მარტო ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. სანეევმა მოიპოვა. გდრ-ის ათლეტებმა კი ხუთი ოქროს მედალი დაისაკუთრეს (თანაც, ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს) და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მორიგი გამარჯვება იზეიმეს.

გამართლდა გდრ-ის შუბის მტყორცნელის რ. ფუქსის მიერ პრეს-ცენტრში ორი დღის წინათ ნათქვამი სიტყვები: ბრძოლები ჯერ წინაა, ჩვენები კიდევ ბევრ ოქროს ჯილდოს მოიპოვებენო.

არ ვიცით, ფუქსი მაინცდამაინც ჩემპიონატის ბოლო დღეს გულისხმობდა თუ არა. ეს კია, რომ ერთ დღეში ასეთი წარმატებისთვის ჯერ არც ერთ ჩემპიონატში არც ერთი ქვეყნის კოლექტივს არ მიუღწევია. მართალია, 8 სექტემბრის პირველი სტარტი — 110 მეტრზე თარჯრბენი არც გდრ-ის სპორტსმენებისთვის გამოდგა უხვმოსავლიანი, მაგრამ ფინალში ამ ქვეყნის სამი მძლეოსანი მაინც გამოდიოდა, სსრ კავშირის ათლეტთაგან კი ეს უფლებაც ვერავინ მოიპოვა.

მერე სარბენი ბილიკები 1500 მეტრზე მორბენალ ვაჟებსა და ქალებს დაეთმოთ და ორივე გარბენში გდრ-ის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. კ.-პ. იუსტუსმა (3.40,6) დანიელ ტ. ჰანსენს ოქრო ზედ ფინიშთან „წაართვა" (ხარკოველი ვ. პანტელეი მეხუთე იყო — 3.41,4), ხოლო გ. ჰოფმაისტერი შუა დისტანციიდან დაწინაურდა და მეტოქეთ წარმატების არავითარი შანსი აღარ დაუტოვა — 4.02,3.

ქალთა შორის ბრძოლა ფაქტიურად II ადგილისთვის გაიმართა, აქ კი ისევ ბულგარელმა ტომოვამ იმარჯვა — მან უკანასკნელ 200 მეტრზე ჯერ ლენინგრადელ ტ. კაზანკინას გაასწრო, მერე გ. ანდერსენსაც (ნორვეგია) და ვერცხლი დაისაკუთრა.

ამასობაში ესტაფეტების რიგიც დადგა. სტარტზე ჯერ ქალები მოეწყვნენ. ვინ იფიქრებდა, რომ ი. შევინსკას გუნდი 4×100 მეტრზე რბენაში ბრინჯაოს დასჯერდებოდა. მეოთხე ეტაპზე ირენას ცდა არ დაუკლია, მაგრამ წინა ეტაპებზე თანაგუნდელების დანაკარგი მხოლოდ ნაწილობრივ გამოასწორა. გამარჯვება ხვდა გდრ-ის კვარტეტს, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 42,51 (სსრ კავშირის გუნდი ფინალში არ მონაწილეობდა, ვინაიდან 200 მეტრზე რბენისას სიდოროვამ ფეხი იტკინა, განაცხადში კი სათადარიგო სპორტსმენი არ იყო შეყვანილი).

საბჭოთა მძლეოსნებმა ვერც ვაჟთა ესტაფეტაში გაგვახარეს. პირველ და მესამე ეტაპებზე ა. აქსინინმა და ა. კორნელიუკმა უხეიროდ ირბინეს, ი. სილოვისა და ვ. ბორზოვის ცდა კი ამაო გამოდგა. გუნდი გდრ-ის კოლექტივს (38,99) 0,1 წამით ჩამორჩა და IV ადგილს დასჯერდა. ჩემპიონი გახდა საფრანგეთის კვარტეტი (38,69), რომელშიც ორი ზანგი სპორტსმენი გამოდიოდა. იტალიელებს მან 0,19 წამით აჯობა.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
რომი — თბილისი.

(დასასრული იქნება)

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: პ. მენეა (მარცხნივ) და ვ. ბორზოვი ერთმანეთს წარმატებას ულოცავენ; ა. სპირიდონოვი უროს ტყორცნის დროს.

ავტორისა და საკდესის ფოტოები.

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 187, 188, 189, 191, 196.






# თხუთმეტივე რაუნდი დასჭირდა...

ამას წინათ ლონდონში, „უემბლის" სტადიონის ერთ-ერთ დარბაზში, გაიმართა ბრძოლა ქვემძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. როგორც იცით, მანამდე ამ წოდებას ამერიკელი ბობ ფოსტერი ატარებდა, მაგრამ მან „დიდი რინგი" ისე დატოვა, რომ თავისი ტიტულის დაცვა არ უცდია. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონის „ადგილი" ვაკანტური გახდა. სწორედ ამ დიდი და საპატიო წოდებისთვის საბრძოლველად დადგნენ ერთმანეთის პირისპირ ინგლისელი ჯონ კონტე და არგენტინელი ხორხე აუმადა.

მიმომხილველების აზრით, მეტოქეთა შანსები თითქმის თანაბარი იყო, უპირატესობას ზოგი მასპინძელს ანიჭებდა, ზოგი კი — მის მოწინააღმდეგეს. კონტემ ბრძოლის წინ თქვა: მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად ძლიერი მეტოქე მყავს, მაინც დავამარცხებ მასო. „ყველაფერს, რაც კრივში ოდესმე მისწავლია, ამ ბრძოლაში გამოვიყენებ. დარწმუნებული ვარ, დავამარცხებ მეტოქეს. დაახლოებით მეექვსე-მეშვიდე რაუნდში რეფერი შეწყვეტს ბრძოლას, თუ რა თქმა უნდა, მანამდე არ ჩავაგდე ნოკაუტში მოწინააღმდეგე".

ზოგიერთი კონტეს განცხადებას უნდობლობით შეხვდა: 40-ანი წლების შემდეგ ამ წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული არც ერთ ინგლისელს არ მოუპოვებია (მაშინ ამ წარმატებას ფრედ მილსმა მიაღწია) და ეს არც ახლა მოხდებაო. თანაც, კონტეს 28 წლის მეტოქე ივნისში მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონს ბობ ფოსტერს შეხვდა და ყოველმხრივ დაჯაბნა იგი, თუმცა მსაჯებმა გამარჯვება მაინც ფოსტერს მიაკუთვნეს. ყველა პროგნოზის გადმოცემა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ უშუალოდ შეხვედრის შესახებ გიამბობთ.

ბრძოლა ძალიან დაძაბული და შეუპოვარი იყო. უპირატესობას ხან ერთი მოკრივე ფლობდა, ხან მეორე. მთელი თხუთმეტი რაუნდის მანძილზე ორივე მეტოქე გააფთრებით უტევდა და თავსაც კარგად იცავდა. მაგრამ ბრძოლის დასასრულს კონტემ რამდენიმე ძლიერი შეტევა განახორციელა. მსაჯებმა მას მიაკუთვნეს გამარჯვებაც და მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც.

ახლა გაგახსენებთ იმ მოკრივეთა სიას, რომლებიც მანამდე იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები ამ წონაში: მილსის შემდეგ ეს მაღალი წოდება მოიპოვეს არჩი მურმა, ვილი პასტრანომ, ხოსე ტორესმა და ბობ ფოსტერმა.

(საქ. ინფ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიო ჩემპიონი ქვემძიმე წონაში ჯ. კონტე. „მორნინგ სტარის" (ლონდონი) ფოტო.



# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ბრაიტნერი — ცენტრფორვარდი?

ასეთ უჩვეულო ფუნქციებს ასრულებდა ცნობილი განაპირა მცველი ბრაიტნერი „რეალის" ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩში ზაგრების „დინამოსთან". ესპანელებმა წააგეს — 3:4, ამასთან ახალმა „ცენტრფორვარდმა" ვერაფრით გამოიჩინა თავი.

უფრო რეალურად მიაჩნია მწვრთნელ მილიანიჩს იდეა ბრაიტნერის მინდვრის შუაგულში ნახევარმცველად გამოყენების შესახებ.

## 29 დეკემბერს გენუაში

იტალიისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგური მატჩი ჩაატარონ 29 დეკემბერს გენუაში.

დიდი გაოცება გამოიწვია იტალიის ნაკრების მწვრთნელ ბერნარდინის განცხადებამ. მან თქვა, რომ გუნდში აღარ მიიწვევს რივერას და მაცოლას. რივერა ფიზიკურად სუსტადაა მომზადებული, მაცოლა კი, მწვრთნელის აზრით, არ არის ისეთი ნახევარმცველი, თანამედროვე ფეხბურთს რომ ესაჭიროება.

## კიდევ ერთი წლით

მიუნხენის „ბაიერნის" დირექტორატმა კიდევ ერთი წლით გაუგრძელა ხელშეკრულება მწვრთნელ ლატეკს, რომელიც გუნდში დიდი წარმატებით მუშაობს.

მადრიდის „რეალში" გადასული ბრაიტნერის გარდა „ბაიერნიდან" წავიდა დანიელი მცველი ჰანსენიც. ბრაიტნერის ნაცვლად კლუბი აპირებს შვეციის ნაკრების მცველ ანდერსონის მიწვევას.

## სამი გაფრთხილების შემდეგ

გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით, მიმდინარე ჩემპიონატიდან სამი გაფრთხილების შემდეგ მოთამაშე ავტომატურად იქნება დისკვალიფიცირებული ერთი მატჩით.

ეს წესი (ზოგ ქვეყანაში დისკვალიფიკაცია ორ გაფრთხილებას მოჰყვება) ახლა ევროპის ბევრ ეროვნულ ჩემპიონატში მოქმედებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

1. მძლეოსნობის კათედრაზე: უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული;

2. სპორტთამაშობათა კათედრაზე:

მასწავლებელი კალათბურთის სპეციალობით — 1 ერთეული,

უფროსი მასწავლებელი ფრენბურთის სპეციალობით — 1 ერთეული.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

ტელეფონები: 22-31-60, 23-09-02.

ИНДЕКС 66443 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14 უე 04743